



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

01 დეკემბერი 2023



N 675/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ონის მუნიციპალიტეტში, ცხმორის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 9,396 ჰა ფართობზე 216 120 ტონა თაბაშირის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ონის მუნიციპალიტეტში, 9,396 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე 216 120 ტონა თაბაშირის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, ცხმორის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 1250-1300 მეტრის სიმაღლეზე და წარმოდგენილია ერთ უბნად (93 965 მ<sup>2</sup>). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-376623, Y-4707874; X-376403, Y-4707889; X-376330, Y-4707947; X-376263, Y-4708099; X-376305, Y-4709179; X-376413, Y-4708217; X-376564, Y-4708130; X-376673, Y-4707993. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ წიაღისეულის საბადოს ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 610 მეტრით. დოკუმენტის მიხედვით, მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან სალიცენზიო ობიექტამდე შეადგენს 100 მეტრს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღისეულის საბადოს ობიექტი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის საშუალომთიან ზონაში, მდ. ჯეჯორას მარცხენა შენაკადის, მდ. ჭალეს (ჩორდულა) მარცხენა ფერდობზე, მთა ბაჯიხევის სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციის მქონე დენუდაციური ფერდობის ზედა ნაწილში, რომლის დახრილობაც არათანაბარია და საშუალოდ 35-55<sup>0</sup>-ია. ობიექტის უმეტესი ნაწილი დაფარულია ტყით, ნაწილი კი – ბუჩქნარით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, წიაღისეულის საბადოს ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარეობს ძებნა-ძიების სამუშაოები. დასინჯვის მიზნით, საკვლევ არეალში აღებულია ღარული სინჯები და შტუფები. ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევების თანახმად, თაბაშირი შრეებრივი, წვრილმარცვლოვანი, თეთრი, მოთეთრო-ვარდისფერი და ღია ვარდისფერია. სალიცენზიო ობიექტზე არსებული მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი ლინზისებურია, პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით და საშუალო სიმძლავრე 1 მეტრია. წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები, მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C<sub>1</sub>+C<sub>2</sub> და P), წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით და შეადგენს 216 120 ტონას. თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები სალიცენზიო ობიექტზე არ არის შესწავლილი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, თაბაშირის მოპოვების ლიცენზია გაიცემა 20 წლის ვადით. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ჯამურად მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა შეადგენს 216

120 ტონას, ხოლო წელიწადში – საშუალოდ 10 806 ტონას, თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე მეტი რესურსი. გამოვლინების თაბაშირი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მშენებლობაში, საყალიბე მასალების საწარმოებლად და სამედიცინო მიზნებისთვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ტექტონიკური დარაიონების თვალსაზრისით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება კავკასიონის ნაოჭა სისტემას, გაგრა-ჯავის ზონას, ამზარა-მუხურის ქვეზონას. წიაღისეულის სახეობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის აგებულებაში მონაწილეობენ ზედა იურული ასაკის (ფერადი წყება) ტუფოქვიშაქვები, მერგელები, მერგელოვანი კირქვები, თაბაშირის ლინზები, კონგლომერატ-ბრეჩიები, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანები, თხელშრებრივი კირქვები, რომლებიც ზემოდან დაფარულია დელუვიური ნალექებით. გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოვლინების რაიონი აგებულია შუა და ზედა იურული, ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ასაკის ნალექებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. დოკუმენტის თანახმად, სალიცენზიო ობიექტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გეოდინამიკური ვითარება არამდგრადია და ექსპლუატაციის ეტაპზე, ცალკეულ უბნებზე, მოსალოდნელია მეწყრული პროცესების გააქტიურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტზე თაბაშირის ღია კარიერული წესით მოპოვება დაკავშირებული იქნება საშიში გეოდინამიკური, მათ შორის, მეწყრული პროცესების განვითარებასთან, რაც მოითხოვს დეტალურ შესწავლას, შეფასებას და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, ასევე, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. დოკუმენტში აღწერილი არ არის საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნება და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, არ არის წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტის ღია კარიერული წესით დამუშავების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების დროებითი დასაწყობებისა და შემდგომი მართვის, ასევე, საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციასთან, დაკავშირებული საკითხები. სკრინინგის განცხადებაში შეფასებული არ არის დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. შესაბამისად, მითითებული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილი არ არის თაბაშირის ღია კარიერული წესით მოპოვების პროცესი და წიაღისეულის მოპოვების მეთოდი. ასევე, არ არის მოცემული სალიცენზიო ობიექტიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი და მიმდებარედ არსებული საავტომობილო გზის სტაბილურობაზე საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება. ვინაიდან, თაბაშირის მოპოვება-დამუშავება, დაგეგმილია ღია კარიერული წესით, მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რასაც ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ისე – ნედლეულის ტრანსპორტირებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით, მოითხოვს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია (93 965 მ<sup>2</sup>) ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, კერძოდ, ონის სატყეო უბნის, ბაჯიხევის სატყეოს, კვარტალ №24-ში. დოკუმენტში მოცემული არ არის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“

დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მახასიათებლების, მოპოვების მეთოდისა და ხანგრძლივობის, ასევე, არსებული გეოდინამიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაკავშირებული იქნება გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას, ასევე, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, დოკუმენტში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ონის მუნიციპალიტეტში, ცხმორის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 9,396 ჰა ფართობზე 216 120 ტონა თაბაშირის ღია კარიერული წესით მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

